

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №--

2021 წლის -- აპრილი
ქალაქი ბათუმი

„თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილებით და პარკირების სპეციალური ადგილებით სარგებლობისათვის საფასურის დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2013 წლის 28 თებერვლის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1.

„თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილებით და პარკირების სპეციალური ადგილებით სარგებლობისათვის საფასურის დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2013 წლის 28 თებერვლის №4 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 06/03/2013, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.132.016155) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების მე-4 და „4¹“ პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. დადგინდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკომეტრებით აღჭურვილი პარკირების საერთო ადგილებით (გარდა ამ დადგენილების 4¹ პუნქტისა) სარგებლობისათვის საფასური დროის შემდეგი მონაკვეთების მიხედვით:

ა) საათამდე პერიოდი – 50 (ორმოცდაათი) თეთრი;

ბ) 2 საათამდე პერიოდი – 1 (ერთი) ლარი;

გ) ყოველი შემდეგი 01 (ერთი) საათი – 1 (ერთი) ლარი.

4¹. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე თბილისის მოედანი, გოგებაშვილის ქუჩაზე მდებარე კათოლიკური ეკლესიის მიმდებარედ არსებული პარკირების სადგომი, რესტორანი „სანაპირო“-ს მიმდებარედ არსებული პარკირების სადგომი, საზღვაო აკადემიის მიმდებარედ არსებული პარკირების სადგომი, ლეხ და მარია კაჩინსკების პარკის მიმდებარედ არსებული პარკირების სადგომი, სტეფანე ზუბალაშვილის №34-ში არსებული სკვერის მიმდებარედ არსებული პარკირების სადგომი და პარმენ რურუას №10-ში არსებული პარკირების სადგომი (დანართი №2-№7-ს შესაბამისად) განისაზღვროს პარკომეტრით აღჭურვილ პარკირების საერთო ადგილად და დადგინდეს პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის საფასური დროის შემდეგი მონაკვეთების მიხედვით:

ა) 1 (ერთი) საათი – 1 (ერთი) ლარი;

ბ) ყოველი შემდეგი 1 (ერთი) საათი – 1 (ერთი) ლარი.“.

2. დადგენილებას დანართის სახით დაემატოს ამ დადგენილებაზე თანდართული დანართი №2-№7.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილებით და პარკირების სპეციალური ადგილებით სარგებლობისათვის საფასურის დადგენის შესახებ“

2013 წლის 28 თებერვლის №4 დადგენილებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე

საკრებულოს დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ.ბათუმში რესტორან სანაპიროს მიმდებარედ არსებული პარკირების სადგომის, საზღვაო აკადემიის მიმდებარედ არსებული პარკირების სადგომის, სტეფანე ზუბალაშვილის 34 ნომერში არსებული სკვერის მიმდებარედ არსებული პარკირების სადგომის, კათოლიკური ეკლესიის მიმდებარედ არსებული პარკირების სადგომის, ლეხ და მარია კანჩინსკების პარკის მიმდებარედ არსებული პარკირების სადგომის ადგილების გამოყოფა, მისი თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა და მოწყობა ტრანსფორმაციულ გავლენას მოახდენს ქალაქში კერძო და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ორგანიზებაზე და გააუმჯობესებს შექმნილ სიტუაციას უკეთესობისაკენ. დამატებით ქალაქის მასშტაბით იქმნება 215 ავტომობილისთვის განკუთვნილი პარკირების სადგომი (იხ. დანართი N2, N3, N4, N5, N6 №7)

ა.ბ პროექტის ძირითადი არსი:

კერძო ტრანსპორტის პარკირებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა რესტორანის სანაპიროს მიმდებარედ, საზღვაო აკადემიის მიმდებარედ, სტეფანე ზუბალაშვილის 34-ში არსებული სკვერის მიმდებარედ, კათოლიკური ეკლესიის მიმდებარედ, ლეხ და მარია კანჩინსკების პარკის მიმდებარედ, პარმენ რურუას №10-ში.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ზემოაღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება განხორციელდება შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს ბიუჯეტიდან.

ბ.ბ პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

გარკვეული ღონისძიებების განხორციელება გავლენას მოახდენს ბიუჯეტის, როგორც ხარჯვით, ისევე საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

1. თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს დადგენილება №25 2010 წლის 15 ოქტომბერი „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“
2. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
3. თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულო დადგენილება №4 2013 წლის 28 თებერვალი „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილებით და პარკირების სპეციალური ადგილებით სარგებლობისათვის საფასურის დადგენის შესახებ“.

დ) პროექტის ავტორი:

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ე) პროექტის ინიციატორი:

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“


ვ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს ადმინისტრაციის უფროსი

მარადი სანიკიძე





დაწერეთ N3



რესტორანი ა

განმარტობის ა

-  პარკინგის ადგილი 25 ერთეული
-  ავტობუსის განჩენა
-  ავტომატის ადგილი
-  ველოგზიპი



მეჯიდის ადგილი

P

P

ბაჩინის ქ



პარკინგის ადგილი 44 პარკინგის ადგილი



ავტობუსის გაჩერება




პარკომპიუტრის ადგილი



პარკინგის ადგილი 21 მეთრული




პარკომპუტერის ადგილი



გობეგაშვილის ქ

შავუბეთის ქ



აღბილი 50 პრემიული

სპი

აის აღბილი




პარკინგის აღბილი 50 პრემიული




ავტობუსის განმარტება



პარკომეტრის აღბილი



ბუჩქნარა



ავტომობილის ადგილი



ავტობუსის ადგილი